ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: **60-01173142124**

თარიღი: **10.11.2017**

ადრესატი:
სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
მისამართი: ჯიქიას ქ. N8

2017 წლის 18 ოქტომბრის N04/1622 (06-01172911813-60 20.10.2017) განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, „თავისუფლება-სოლოლაკი-თაბორი“-ს საბაგირო გზის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე სამსახურის პოზიციას გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად ხაზობრივი ნაგებობის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ზონალური (შეთანხმების) საფუძველზე, რომელსაც ანიჭებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი. ამასთან საპროექტო ობიექტის განთავსება იგეგმება ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზონაში, შესაბამისად სამსახურმა საკითხი წარადგინა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს“ 2017 წლის 26 ოქტომბრის N43 სხდომაზე. საკითხმა მიიღო დადებითი რეკომენდაცია და გამოიცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 07 ნოემბრის N1-2476 ბრძანება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია „თავისუფლება-სოლოლაკი-თაბორი“-ს საბაგირო გზის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება რიგი მოთხოვნების და რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- გათვალისწინებული იქნეს „საბჭოს“ წევრთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციები;
- გათვალისწინებული იქნეს თანამედროვე, უსაფრთხო მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენება;
- დაცული უნდა იყოს საინჟინრო კომუნიკაციებთან სამშენებლო ნორმები;
- შენარჩუნებული იქნეს საპროექტო მონაკვეთსა და მის მიმდებარედ არსებული ხე–ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;

დანართი: 6 (ექვსი) ფურცელი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური - სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ზურაბი წიკლაური



საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 272 22 22, ფაქსი:(+995 32) 237 82 24

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

1–2476

ბრძანება №_____

7 ნოემბერი

"____"_____2017 წ.

თბილისში, კრწანისის რაიონში, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორია, ოქროყანის დასახლება/ბოტანიკურის ქუჩა №1-ში, მთაწმინდის რაიონში, გუდიაშვილის შესახვევი (ლომბარდისა და რუსთაველის პროსპექტის №1 სახლებს შორის)/გუდიაშვილის ქუჩა №2 (ყოფ. კეცხოველის ქუჩა №8)/ლეონიძის ქუჩა №3/თბილისიდან კოჯრისაკენ მიმავალი გზის მიმდებარედ/კოჯრის გზატკეცილი №13/კოჯრის გზატკეცილი, სტელა „თბილისის“ მიმდებარედ/კოჯრის გზატკეცილი №13-ის მიმდებარედ/კოჯრის გზატკეცილი, ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია/კოჯრის ახალი გზატკეცილი №1/კოჯრის ახალი გზა №3/კოჯრის ახალი გზა №1-ის მიმდებარედ/კოჯრის ახალი გზა №1ბ/კოჯრის ახალი გზა №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №№01.18.01.002.203, 01.18.02.001.017, 01.15.04.026.011, 01.15.05.066.022, 01.15.08.005.014, 01.15.07.006.078), ხაზოვანი ნაგებობის „თავისუფლება-სოლოლაკი-თაბორის“ საჰაერო-საბაგირო გზის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 26 ოქტომბრის №43 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორია, ოქროყანის დასახლება/ბოტანიკურის ქუჩა №1-ში, მთაწმინდის რაიონში, გუდიაშვილის შესახვევი (ლომბარდისა და რუსთაველის პროსპექტის №1 სახლებს შორის)/გუდიაშვილის ქუჩა №2 (ყოფ. კეცხოველის ქუჩა №8)/ლეონიძის ქუჩა №3/თბილისიდან კოჯრისაკენ მიმავალი გზის მიმდებარედ/კოჯრის გზატკეცილი №13/კოჯრის გზატკეცილი, სტელა „თბილისის“ მიმდებარედ/კოჯრის გზატკეცილი №13-ის მიმდებარედ/კოჯრის გზატკეცილი, ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია/კოჯრის ახალი გზატკეცილი №1/კოჯრის ახალი გზა №3/კოჯრის ახალი გზა №1-ის მიმდებარედ/კოჯრის ახალი გზა №1ბ/კოჯრის ახალი გზა №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 170. ფაქსი: (+995 32) 2 378 200

(საკადასტრო კოდები: №№01.18.01.002.203, 01.18.02.001.017, 01.15.04.026.011, 01.15.05.066.022, 01.15.08.005.014, 01.15.07.006.078), ხაზოვანი ნაგებობის „თავისუფლება-სოლოლაკი-თაბორის“ საჰაერო-საბაგირო გზის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია